

საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება № 188----- § 28/04

31.10. 2011 წ.

ქ.ქუთაისი

მობილობის , აღდგენის წესით უნივერსიტეტში ჩარიცხულ და

აკადემიურ დავალიანებაში მყოფ სტუდენტთა

განსხვავებული კრედიტების ათვისებისათვის დადგენილი სწავლის საფასურის გადახდის წესის შესახებ

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. სტუდენტი უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისათვის საჭირო ნომინალურ ვადაში (ბაკალავრიატი 4 სასწავლო წელი, ერთსაფეხურიანი 5-6 სასწავლო წელი, მაგისტრატურა 2 სასწავლო წელი) იხდის სემესტრისათვის განკუთვნილ სწავლის საფასურს(არაუმეტეს 75 კრედიტისა წელიწადში და არაუმეტეს 40 კრედიტისა დამატებით სემესტრში).

2. მობილობისა და აღდგენის წესით უნივერსიტეტში ჩარიცხული სტუდენტი, მობილობის წარმმართველი კომისიის გადაწყვეტილებით განსაზღვრული განსხვავებული (არაღიარებული) კრედიტების ათვისების მიზნით საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისათვის საჭირო ნომინალურ ვადაში (ბაკალავრიატი 4 სასწავლო წელი, ერთსაფეხურიანი 5-6 სასწავლო წელი, მაგისტრატურა 2 სასწავლო წელი) შესაბამის სემესტრში (სემესტრებში) არ იხდის დამატებით საფასურს.

3. სტუდენტი, რომელსაც აკადემიურ დავალიანებაში დარჩა კრედიტების განსაზღვრული რაოდენობა, კრედიტების განმეორებით ათვისების მიზნით საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისათვის საჭირო ნომინალურ ვადაში (ბაკალავრიატი 4 სასწავლო წელი, ერთსაფეხურიანი 5-6 სასწავლო წელი, მაგისტრატურა 2 სასწავლო წელი) შესაბამის სემესტრში საგანმანათლებლო პროგრამის გავლის პარალელურად არ იხდის დამატებით საფასურს.

4. მობილობის , აღდგენის, ფაკულტეტზე სპეციალობიდან სპეციალობაზე ან ერთი ფაკულტეტიდან მეორე ფაკულტეტზე მობილობის წესით უნივერსიტეტში ჩარიცხულ და აკადემიურ დავალიანებაში დარჩენილ სტუდენტს მიეცეს უფლება საკუთარი სურვილით , განცხადების საფუძველზე , განსხვავებული (ასათვისებელი) კრედიტები ათვისოს შესაბამის სემესტრში საგანმანათლებლო პროგრამის გავლის პარალელურად(არაუმეტეს 15 კრედიტისა ერთი სასწავლო წლის განმავლობაში) ან /და დამატებითი სემესტრის (სემესტრების) განმავლობაში , თუ არ ირღვევა საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმით განსაზღვრული წინაპირობები.

5. დამატებით სემესტრში(სემესტრებში) სტუდენტი საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური უზრუნველყოფისათვის იხდის სპეციალობაზე შესაბამისი სასწავლო წლისათვის სახელმწიფოს (უნივერსიტეტის) მიერ დადგენილი მთლიანი სემესტრის სწავლის საფასურს .
- 6 . იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი აკადემიური დავალიანების გამო დარჩა კურსზე დარჩენილი კრედიტების ასათვისებლად იხდის 1 კრედიტზე 15 ლარს.
7. ფაკულტეტის დეკანებმა შესაბამისი სამართლებრივი აქტით მობილობის, აღდგენის წესით ჩარიცხულ და აკადემიურ დავალიანებაში მყოფ სტუდენტებს განუსაზღვრონ განსხვავებული (ასათვისებელი) კრედიტები.
8. ძალადაკარგულად ჩაითვალოს რექტორის №206 §38/04 17.11.2010 წ. ბრძანება აკადემიურ დავალიანებაში მყოფ სტუდენტთა კრედიტების საფასურის გადახდის წესის შესახებ.
9. ძალადაკარგულად ჩაითვალოს რექტორის №210 §1/03 24.11.2010 წ. ბრძანება მობილობისა და აღდგენის წესით უნივერსიტეტში ჩარიცხულ სტუდენტთა და აკადემიურ დავალიანებაში მყოფ სტუდენტთა განსხვავებული კრედიტების საფასურის გადაანგარიშების შესახებ.
10. ძალადაკარგულად ჩაითვალოს რექტორის ბრძანება №17 § 10/04 4.02.2011 წ.
11. ფაკულტეტის დეკანებს და უნივერსიტეტის ფინანსური და მატერიალური რესურსების მართვის სამსახურს დაევალოთ ამ ბრძანების განხორციელება.
12. კანცელარიის გამგემ ე-ცირევიძემ უზრუნველყოს ბრძანების უნივერსიტეტის შესაბამის სტრუქტურებში დაგზავნა.
13. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს პროფესორ კ.სირბილაძეს და ფინანსური და მატერიალური რესურსების მართვის სამსახურის უფროსს კ.კუპატაძეს.
14. ბრძანების უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსება დაევალოს საგარეო ურთიერთობათა სამსახურის უფროსს პროფ. დავით გეგეჭკორს.

გარდამავალი პერიოდის მუხლი

15. სტუდენტს, რომელმაც 2011 – 2012 სასწავლო წლის ჩათვლით ვერ მოახერხა საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება ნომინალურ ვადაში(ბაკალავრიატი 4 სასწავლო წელი, ერთსაფეხურიანი 5-6 სასწავლო წელი, მაგისტრატურა 2 სასწავლო წელი), აკადემიური დავალიანების აღმოსაფხვრელად შეუდგეს ინდივიდუალური გრაფიკი და საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური უზრუნველყოფისათვის გადაიხადოს 1 კრედიტზე 15 ლარი. აკადემიურ დავალიანებაში დარჩენილი კრედიტების ათვისების უფლება მიეცეს სტუდენტს საკუთარი სურვილით განცხადებისა და კრედიტებისათვის საჭირო სწავლის საფასურის ქვითრის წარმოდგენის საფუძველზე.

რექტორი:

ასლი დედანთან სწორია:



პროფ.გიორგი ღავთაძე

კანცელარიის გამგე